ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №037
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში მონეტარული ზღვრის დაცვით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით,

ერთი მხრივ, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია ზაალიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „სუპერი“, წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის მაია კუნდუხაშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე იღებს ვალდებულებას მიაწოდოს სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ საჭიროებისათვის, №1 ცხრილში მოცემული , ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი პროდუქცია და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

ცხრილში №1

№	პროდუქციის დასახელება	კლასიფიკატორის (CPV) კოდი	რაოდენობა	ერთ.ღირებულება	საერთო ღირებულება
1	საშრობი ჭურჭლის, შავი, 45,50X36X7,50 სმ	39221170 - ჭურჭლის საწრეტები	1 ცალი	36,50	36,50

1.2 პროდუქციის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2023 წლის 11 აპრილისა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს **36,50 (ოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

2.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხარეთა ვალდებულებები

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს შეთანხმებული ხარისხის პროდუქცია.

3.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს პროდუქცია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

3.1.3 განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

3.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში აანაზღაუროს მიწოდებული პროდუქციის ღირებულება.

3.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4. შესყიდვის საგნის ხარისხი

4.1 მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მიწოდებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) პროდუქცია, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს პროდუქციის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული პროდუქციის ღირებულება.

5.3 წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას, ასევე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს შემსყიდველის საფინანსო სამსახურის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სპეციალისტი ზვიადი ჭელიძე.

5.5 კონტროლის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს:

ა) გაუწიოს კონტროლი საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობას;

ბ) განახორციელოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის ხარისხზე და დაადგინოს მისი შესაბამისობა ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

6. პროდუქციის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 პროდუქციის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით.

6.2 პროდუქციის მიღებას აწარმოებს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საფინანსო განყოფილება.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული პროდუქციის მოცულობის და წუნდების მიზეზების შესახებ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

7.1.2 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 ანგარიშსწორების საფუძველს წარმოადგენს მიღება-ჩაბარების აქტი.

7.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული პროდუქციის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მხარეები იტოვებენ უფლებას, რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოითხოვონ შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო. ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისათვის - ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

9.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

12.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ელექტრონული შტამპის ან ელექტრონული ხელმოწერის განხორციელებიდან (მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ელექტრონული დამოწმებიდან) და მოქმედებს 2023 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკულების დამდებ რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხევაში. იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გაფორმებულია წერილობითი სახით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა დასახელება და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №138.
ს/კ: 205296188
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგ №GE24NB0330100200165022

Electoral Systems Development,reforms and Training Centre

Digitally signed by Electoral Systems Development,reforms and Training Centre
Date: 2023.04.06 14:36:25 +04'00'

ნათია ზაალიშვილი

დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „სუპერი“
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. № 23
ს/კ: 205050905
საბანკო რეკვიზიტები: „ტერა ბანკი“
ბანკის კოდი: TEBAGE22, ანგარიშის №GE79KS0000000360203851

მაია კუნდუხაშვილი

დირექტორის მინდობილი პირი